

**სსიპ კოლეჯში „ბლექსი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგია**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას, რომელიც ითვალისწინებს: პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულ მატერიალურ და ადამიანურ რესურსებს, პროგრამის განხორციელების მიდგომას, პროგრამის სპეციფიკასა და მოთხოვნადობას;

**მუხლი 2. სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსი**

1. სსიპ კოლეჯს „ბლექსი“ სასწავლო პროცესის წარმართვისათვის სარგებლობაში აქვს შესაბამისი შენობა-ნაგებობა მისამართზე - ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ. №92 ა.

2. კოლეჯში არსებობს სამი ტიპის სასწავლო გარემო - A, B და C. დასაშვებია გარემოს სხვადასხვა მოდელი ერთ სირცემიც იყოს განთავსებული, მაგალითად, ერთ სივრცეში არსებობდეს ერთდროულად A და C, A და B, A, B და C გარემო.

3. A ტიპის სასწავლო გარემო - სასწავლო სივრცე შენობის შიგნით, თეორიული მეცადინეობების და ჯგუფური მუშაობისათვის. ძირითადად, აღჭურვილია პროფესიული სტუდენტების მაგიდებით, სკამებით, დაფით, მასწავლებლის მაგიდითა და ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერით, დემონსტრირების საშუალებით (პროექტორი). შესაძლებელია პროფესიულ სტუდენტთა ადგილების (მაგიდების, სკამების) ნებისმიერი განლაგება სწავლების შერჩეული მეთოდის გამოსაყენებლად.

4. B ტიპის სასწავლო გარემო - სასწავლო სივრცე შენობის შიგნით, კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია პროგრამის მოთხოვნის შესაბამისი მონაცემებისა და რაოდენობის ინტერნეტის ქსელსი ჩართული კომპიუტერით (1 პროფესიულ სტუდენტზე 1 კომპიუტერი), მასწავლებლის მაგიდითა და კომპიუტერით, ქსელური პრინტერითა და დემონსტრირების საშუალებით (პროექტორი). B გარემოში შესაძლებელია პროფესიულ სტუდენტთა ადგილების (მაგიდების, სკამების) ნებისმიერი განლაგება.

5. C ტიპის სასწავლო გარემო - სპეციფიკური სასწავლო გარემო შენობის შიგნით. სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის აღჭურვილობის ნორმატივები დადგენილია ინდივიდუალურად მოდულების შესაბამისად.

6. ინტეგრირებული პროგრამის ინტეგრირებული ზოგადი მოდულების განხორციელების მიზნით კოლეჯში არსებობს შესაბამისი ლაბორატორია;

7. პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას გარემოსა და მატერიალური რესურსთთან მიმართებაში მხედველობაში მიიღება:

7.1. A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;

7.2. B სასწავლო გარემოს ფართი ( 1 სტუდენტი 2. კვ. მ) და პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა.

7.3 C სასწავლო გარემოსთან მიმართებაში გათვალისწინებულია ფართი ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად (არსებობის შემთხვევაში) და რესურსი პროფესიული სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით.

7.4 დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის მოდულის განხორციელების მიზნებისათვის ერთი და იმავე სივრცის გამოყენება თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოს და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების, კვირეული დატვირთვის, სხვადასხვა ცვლებში მუშაობის რეჟიმის გათვალისწინებით;

7.5 კვოტის განსაზღვრის დროს გათვალისწინებულია პროგრამისათვის გამოყოფილი სასწავლო გარემოს ოდენობა. რაც მეტია გარემო, მით მეტია პროფესიულ სტუდენტთა გამტარიანობა;

7.6 კვოტის განსაზღვრის დროს ძირითად შემზღუდავ ფაქტორს წარმოადგენს სასწავლო გარემოს ფართი. ის უნდა აკმაყოფილებდეს კანონით დადგენილ მოთხოვნებს. რამდენიმე გარემოს არსებობის შემთხვევაში კვოტა ეყრდნობა ყველაზე მცირე მოცულობის ფართს, შესაბამისი აღჭურვილობის გათვალისწინებით;

7.7 ერთ ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობის შესაბამისად, ყველა გარემოს რესურსიდან უცირვის გათვალისწინებით;

## **მუხლი 2. ადამიანური რესურსი**

1. პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას ადამიანურ რესურსთან მიმართებაში მხედველობაში მიიღება:
2. კვოტის განსაზღვრის დროს გათვალისწინებულია პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა;
3. გათვალისწინებულია, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს უფლება სწავლება განხორციელოს სხვადასხვა ცვლებში, შრომის კოდექსის მოთხოვნების დაცვით;

## **მუხლი 3. პროგრამის განხორციელების მიდგომა**

1. დუალური პროგრამისათვის კვოტის განსაზღვრის დროს გათვალისწინებულია დაწესებულებასა და საწარმოს შორის არსებული ხელშეკრულების პირობები - საწარმოში მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა მაქსიმალურ რაოდენობა;
2. დუალური პროგრამისათვის კვოტის განსაზღვრის დროს გათვალისწინებულია, რომ პროგრამის სწავლის შედეგების გადამწიგნობა კოლეჯსა და საწარმოს შორის ზრდის შესაბამის გარემოთა გამტარიანობას, დაახლოებით 2- ჯერ;
3. თუკი პროგრამის ცალკეული სწავლის შედეგის მიღწევა დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით უზრუნველყოფილია პარტნიორ

კომპანიაში ოფიციალური შეთანხმების საფუძველზე, კვოტის განსაზღვრის დროს გათვალისწინებულია ხელშეკრულების ფარგლებში გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა.

4. პროგრამაში საწარმოო პრაქტიკის მოდულის არსებობის შემთხვევაში გათვალისწინებულია კომპანიებთან თანამშრომლობის ხელშეკრულებების ფარგლებში ობიექტების მიერ მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა;
5. ინტეგრირებული მოდულური პროგრამის შემთხვევაში გათვალისწინებულია, რომ სასწავლო გარემოს გამტარიანობა იზრდება პროფესიული მოდულებისათვის პროგრამაში ზოგადი მოდულების ინტეგრირებისა და სწავლის ხანგრძლივობიდან (მინიმუმ 3 წელი) გამომდინარე.

#### **მუხლი 4. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დამატებითი ფაქტორები**

1. კვოტის განსაზღვრის დროს გათვალისწინებულია, რომ დაწესებულება მუშაობს რამდენიმე ცვლაში და შეჭრილი გრაფიკითაც;
2. კვოტის განსაზღვრის დროს გათვალისწინებულია პროგრამის ხანგრძლივობა და სასწავლო გეგმის სპეციფიკა;
3. კვოტის განსაზღვრის დროს გათვალისწინებულია მოდულური პროგრამის მოთხოვნადობა როგორც შრომის ბაზარზე, ასევე, აპლიკანტთა მხრივ;
4. კოლეჯის მიერ განხორციელებული თვითშეფასების საფუძველზე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის მოთხოვნა ხორციელდება წინამდებარე მეთოდოლოგიის დანართის ფორმით, შესაბამისი წერილობითი დასაბუთებით;
5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (კვოტის) გაზრდა ან შემცირებაც განხორციელდება წინამდებარე მეთოდოლოგიის გათვალისწინებით.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (კვოტის) მოთხოვნის ფორმა

№	პროგრამის დასახელება	პროგრამის განხორციელების მიდგომა და ხანგრძლივობა	A გარემოს რაოდენობა და პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი რესურსი	B გარემოს რაოდენობა ფართობის მითითებით და პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი რესურსი	C გარემოს რაოდენობა ფართობის პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი რესურსი და პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი რესურსი	ადამიანური რესურსის რაოდენობა	მოთხოვნილი კვოტა	შენიშვნა